| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძველის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890


ამ ნომერში რვა გვერდია.

მეუღლე, შვილები და ძმები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას მცხეთის ტაძრის დეკანოზის და დუშეთის მაზრის ბლაღოჩინის რომანოზ იოსების ძის მრევლიშვილისას და სთხოვენ მობრძანდნენ კვირას, 23 დეკემბერს, სოფ. მცხეთაში განსვენებულის დასაფლავებაზედ დასასწრებლად (2—2)

შაბათს, 22 დეკემბერს,
„ტფილისის სობრანიის" დარბაზში
დანიშნულია

## კონცერტი

და სატანცაო საღამო
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ.
დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.
დაწვრილებითი აფიშებში იქმნება გამოცხადებული.

«სასულიერო მოამბე საქართველოს საექსარხოსოჲსა»

პირველ მარტიდამ 1891 წლისა

გამოიცემა ტფილისის სასულიერო სემინარიასთან ორჯერ თთვეში ორიდამ სამს საბეჭდავ ფურცლამდე რუსულს ენაზე, ზოგ სტატიების (საკითხავების) გადათარგმნით ქართულს ენაზე—შემდეგის შინაარსითა:

ოფიციალური ნაწილი. უზენაესნი ბრძანებანი, უკაზები უწ. სინოდისა, განკარგულებანი უმაღლესის სასულიერო და ადგილობრივის საეპარხიო მთავრობათა; ცვალებანი პირთა, რომელნიც სასულიერო უწყებაში მსახურებენ საქართველოს საექსარხოსოში; უწყება მოქმედებათა „კავკასიასა შინა მართლმადიდებლობითის ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებისა" და მისი ანგარიშებიცა; ცნობანი საექსარხოსო სასულიერო სასწავლებელთა აკ-კარგიანობაზე და მოწაფეთა სახარისხო სიები; ანგარიშნი შესახებ შესავალ-გასავალისა ეპარქიულ სამოსწავლო მზრუნველობათა და სასულიერო სასწავლებელთა.

არა ოფიციალური ნაწილი. სწავლანი, მოძღვრებანი, სიტყვანი და გარეშეეკლესიისა სამოძღვრო ბაასობანი; ცხოვრება წმიდათა მსოფლიო ეკლესიისა და განსაკუთრებით საქართველო ეკლესიისა; ბიოგრაფია და ნეკროლოგები იმ თანამედროვე პირთა, რომელთაც თვისის მოქმედებით სარგებლობა მოუტანიათ ეკლესიისთვის; სტატიები, უმეტესად შესახებ საქართველოჲსა. ზნეობრივის, ისტორიულის და აღწერილობითის ხასიათისა; მატიანე საქართველოს საექსარხოსოს ეკლესიურის ცხოვრებისა და მიწერ-მოწერანი მისთა საეპარქიოთაგან; განმარტებანი საეჭვო კითხვათა სამღვდელო მოქმედებათა შესახებ; პასუხები სხვა-და-სხვა საჟურნალო სტატიებზე საქართველოს საექსარხოსოს შესახებ; ადგილ გასაგები ცნობები სახალხო ექიმობის შესახებ; ცნობანი და შენიშვნანი, და განცხადებანი.

ხელ-მოსაწერი სარედაქციო წლიწადი დაწყებული 1 მარტიდამ თავდება თებერვლით. ხელ-მოწერა მიიღება ტფილისის სასულიერო სემინარიაში. წლიური ფასი 4 მანათი, ნახევარის წლისა—2 მანეთი (გაგზავნა რედაქციის ხარჯით). (5—1)

პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულს საზოგადოებას, თუ მოსწავლეებსდა თუ სხვათა, რომ ჩემი საკუთარი ეკონომიური წიგნის მაღაზია, რომელიც მქონდა სობოროს და ბულვარის მახლობლად ქუთაისს, ანდრონიკოვის მამულში, ამ ქრისტეს შობის თთვიდგან გადატანილ იქმნა წმიდა ნინოს ქალების გიმნაზიის პირდაპირ, კნიაჟევსკის ქუჩის თავში, რომელშიაც იყო უწინ წიგნის მაღაზია და ბიბლიოთეკა ვაჟების გიმნაზიაში ნამყოფ მასწავლებელ პეტროვისა, მამაჯანოვის და ამირალოვის შენობის კუთხეში, ნემენცების ქუჩისა და ეიგუშინსკის აფთიაქის მახლობლად. იმედი მაქვს პატივცემული საზოგადოება არ შემწუხდება და ივლის ამ ჩემს ახალს სადგომში თუ სასყიდლად და თუ მოსაყიდავად წიგნებისა. მომავალ იანვრის პირველიდგან მივიბარებ ნახმარ წიგნებს გასასყიდად.

(10—8) მიხეილ პავლეს ძე გვარიშვილი


## „ТИФЛИССКІЙ ЛИСТОКЪ".

ПОДПИСКА НА 1891 ГОДЪ.

Въ слѣдующемъ году газета „Тифлисскій Листокъ" будетъ выходить по прежнему ежедневно, исключая дней послѣпраздничныхъ. Редакція главнымъ образомъ посвятитъ свои силы интересамъ Закавказскаго края и, желая дать больше матеріала для чтенія, будетъ выпускать **въ недѣлю два раза газету въ шесть страницъ.**

(Въ программу входятъ всѣ обычные отдѣлы ежедневныхъ изданій).

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

| | | | |
|---|---|---|---|
| Съ доставной: на годъ | 4 р. — | Съ пересылкой: на годъ | 5 р. — |
| „ „ на полгода | 2 „ 50 к. | „ „ „ полгода | 3 „ — |
| „ „ „ 3 мѣс. | 1 „ 25 „ | „ „ „ 3 мѣс. | 2 „ — |
| „ „ „ 1 мѣс. | — 75 „ | „ „ „ 1 мѣс. | 1 „ — |

Подписка исключительно принимается въ г. Тифлисѣ, Барятинская ул. д. Ротинова


## ქართული თეატრი

სამშაბათს, 25 დეკემბერს,
ბენეფისი
ბ. ა. აბაშიძისა [?]

ბ. ა. ავალიშვილისა
ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება პირველად:
ახალი პიესა

### დამარცხებულნი

მელოდრამა 4 მოქმ. თხზ. პ. უმიკაშვილისა.

II

### ცელქები

ხუმრობა-ვოდევილი 1 მოქმედ. კუპლეტებით.

მოთამაშენი: ქქ-ნი ავალიშვილისა, საფაროვისა, ჩერქეზიშვილისა, ტატიშვილისა; ბ ნნი აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, კანდელაკი, და სხვ.
დასაწყისი 8 საათზე

ტფილისი, 21 დეკემბერი

ამ დღეებში ჩვენ ყური მოვკარით ერთს სასიამოვნო ამბავს, რომ ვითომ ტფილისში რამდენიმე ნასწავლ ყმაწვილ კაცს განუზრახავს მდაბიო ხალხისათვის იკითხონ, ანუ უკეთ ვსთქვათ, სიტყვიერად უამბონ ხოლმე მსურველთ კვირაში ერთხელ იქმნება თუ ორჯელ სხვა-და-სხვა საინტერესო ამბავი მეცნიერებისა და ცხოვრებისა მდაბიო და გასაგების ენითაო. ამბობდნენ, რომ ასეთის კითხვა-მუსაიფისათვის უკვე ნაზრუნია სადგურიცაო და, თუ მთავრობის მხრით ნება-რთვა გამოვა, ამ საქმის აღსრულებას ხელს აღარა შეუშლის-რაო. თუ ეს ამბავი მართალია, დიდის სიამოვნებით უნდა მივეგებოთ ამ საქმეს და, ვისაც რით შეგვიძლიან, დავეხმაროთ მის განხორციელებას.

ჩვენის მდაბიო ხალხის ბედობაზე ტფილისში, როგორც ვიცით, დღეს თითქმის არავითარი დაწესებულება არ არსებობს, რომელსაც აზრად ჰქონდეს მცირეოდენი ცოდნა შესძინოს უსწავლელად ხელმოკლეობის გამო დარჩენილს და გონება-დახშულს უმრავლესობასა ჩვენის ტფილისის მდაბიო ხალხისას. არსებობს მხოლოდ ერთი უფასო წიგნთ-საკითხავი, ანუ კაბინეტი, რომელშიაც განსაკუთრებით სამღთო-წერილის წიგნებია მოთავსებული, იაფი ბიბლიოთეკა არღუთინსკის ქალის მიერ დაარსებული და წელს გამართული საერო ყველასათვის ადვილად ხელმისაწვდომი იაფი თეატრი.

ყველა ეს დაწესებულებანი დიდის თანაგრძნობის ღირსია და თავისი წილი სარგებლობა მოაქვთ კიდეც. მცირე საქმე არ არის, რომ კაცს, მეტადრე ღარიბსა და ხელმოკლეს, როცა მოსვენებულია და უსაქმურად არის, მეტადრე კვირაუქმეობით, შეეძლოს შოვნა უფასოდ წიგნისა და კითხვა მისი; აგრეთვე არც ის არის მცირე საქმე, რომ ამისთანავე კაცმა იაფ ფასად, ორ შაურადა და აბაზად მოიხერხოს თეატრში შესვლა და გულის გადაყოლიება, თვალის გართობა, სასარგებლო დროს გატარება. მაგრამ ყოველ ამასთანავე მაინც ფრიად საჭიროა სახალხო ლექციების კითხვა. ცხოველი ურთიერთობა, დაახლოვებული ერთმანერთობა ნასწავლ კაცსა და მდაბიო ხალხს შორის ყოველ სკოლასა და სასწავლებელზედ მეტად მოქმედობს და მეტის ნაყოფის მომტანიც არის. საჭიროა მხოლოდ ლექციის მკითხველმა სალაპარაკო საგანი და თვით კილო ლაპარაკისა შეუწონოს და შეუფარდოს მსმენელთა უნარს გაგებისასა და სმენისას. ეს საქმე-კი ადვილი საქმე არ არის. ხშირად დიდად ნასწავლი და მცოდნე კაცი ვერ მოახერხებს ადვილისა და გასაგების ენით უამბოს მოუმზადებელს ხალხს, თუნდა ისეთი ამბავი, როგორიც არის, მაგალითად, პოვნა ანუ აღმოჩენა ამერიკისა, მოგონება თოფის-წამლისა, წიგნის ბეჭდვისა და სხვ. უამბოს ისე, რომ მსმენელს გონება არ დაეღალოს, ხალისი არ დაეკარგოს სმენისა.

მართალია, ასე ძნელი საქმეა ლექტორობა მდაბიო ხალხისათვის, მაგრამ მაინც არც-კი ისე საძნელოა, რომ ოთხი ხუთი კაცი ვერ გამოჩნდეს ტფილისში ამის მომხერხებელი. თთვეში რომ თითომ ერთი რამ საამბობი საგანი მოამზადოს, ეს ოთხი-ხუთი კაცი შეიძლებს რამდენსამე თთვეს გაბმით იქონიონ მუსაიფი და ლაპარაკი ხალხთან ყოველ კვირა თითო-თითომ. პირველში იქნება ამ ოთხი-ხუთის რჩეულისათვისაც გაძნელდეს საქმე მიუჩვევლობის გამო, მაგრამ შემდეგ თანდათან, ვარჯიშობითა და მეცადინეობით ეგ სიძნელეც ადვილი დასაძლევი შეიქმნება. სულითა და გულით ვისურვებთ ამ საქმის მალე მოწყობასა და განხორციელებას. სწორედ სამწუხაროა, რომ ამოდენა ქალაქში, როგორიც ჩვენი ტფილისია, ღარიბისა და ხელ-მოკლე, მუშა ხალხისათვის, მის გონებრივს წარმატებისათვის არავითარს საქმეს არავინ იწყებს, არავინ არასა ზრუნავს.

დიდი ცოდვა-კია, რომ ნასწავლ კაცს ეგ ბუნებური სურვილი არა ჰქონდეს, თვისი სწავლა უსწავლელსაც განუზიაროს, სიკეთე ცოდნისა იმასაც შეატყობინოს, დახუჭული თვალი აუხილოს და აგრძნობინოს ის დიდი სიამოვნება, რომელიც მოსდევს ჭკუა გონების წვრთვნასა და ახელილის თვალით ქვეყნის ცქერასა.

რაკი ასეა, მით უფრო დიდის სიამოვნებით ვეგებებით იმ ხმას, რომელსაც ჩვენ ამ დღეებში ყური მოვკარით და ვისურვებთ, რომ ეს სასარგებლო განზრახვა მალე საქმედ გადაქცეულიყოს და ხორცშესხმულ ამბად გარდაქმნილიყოს.

გ—გ

## ახალი ამბავი

*** მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, 22 დეკემბერს, ტფილისის სობრანიაში დანიშნულია კონცერტი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ. მონაწილეობას მიიღებენ ოპერის არტისტები, თ. აკაკი წერეთელი და ქართული ხორო რატილისა.

*** როდესაც ქალაქმა პირველის სესხის აღება გადასწყვიტა, ქალაქის საბჭომ განიზრახა იმ სესხიდგან 30,000 მანათით საკუთარი შენობა აეშენებინა პირველ დაწყებით საქალაქო სასწავლებლებისათვის, მაგრამ, რადგან ქალაქს იმ დროს ბევრი შენობები ჰქონდა დასამთავრებელი, ამიტომ ჯერ-ჯერობით ის ფულიც იმას მოახმარეს. ეხლა, რაკი იმ შენობებს მორჩნენ, საბჭომ კვლავ დაიწყო ზრუნვა სკოლების შენობებზე. სასწავლებელთა კომისიამ უკვე მოხსენება შეიტანა საბჭოში, ორის საქალაქო სკოლისთვის შენობები შევიძინოთ—ერთი აველაბრის სკოლისთვის და მეორეც ჩუღურეთისათვისაო და 13,000 მანათი ითხოვა ამ საგნისთვის. საბჭო საფინანსო კომისიას დაეკითხა, ხოლო ამ უკანასკნელმა გადასწყვიტა, მიეცეს ამ თავით 7200 მან. ადგილების სასყიდად და შენობისთვის საჭირო ფულიც მაშინ, როდესაც ქალაქის ხუროთ მოძღვარი დაწვრილებით ხარჯაღრიცხვას წარმოგვიდგენსო.

*** საქალაქო გამგეობას აუარებელი ხალხი მიაწყდა სავაჭრო საბუთების ასაღებად მომავალი 1891 წლისათვის. ამის გამო საჭიროდ ვრაცხთ, ვაცნობოთ ჩვენს მკითხველებს, რადგან ბევრმა არ იცის, შემდეგი განკარგულება მთავრობისა: თუ დეკემბრის გასულამდე ვერ მოასწრეს ყველა სავაჭრო საბუთების აღება, იანვარში პირველისა და მეორე გილდის ვაჭრებს მანათზე 50 კ. ჯარიმა გარდახდებათ და სხვებს-კი იმდენი, რამდენსაც საჭიროდ სცნობს სარევიზიო კომისია. ამას გარდა თუ ვერც იანვარში მოასწრეს აღება, მაშინ სრულიად ეკარგებათ პირველისა და მე-2 გილდის ვაჭრებს ნება და ხელ მეორედ დასჭირდებათ თხოვნის მიცემა ვაჭრობის ნების აღებისთვის.

*** იმერეთიდამ მოგვივიდა წერილი ერთის იქაურის მცხოვრებლის ნ. ი. შეყილაძისაგან და გვწერს შემდეგს დაუჯერებელს ამბავს: „სამი წელიწადი ვიყავ ავად ავის ზნით (ზნედით) და ძალიანაც დამტანჯა ამ საშინელმა სენმა, ბევრს ექიმს მივმართე, მაგრამ ვერავინ ვერა მიშველა-რა, ვერა მიშველავათა-რა. ბოლოს ვიპოვე ერთი

ადამიანი, სახელდობრ, მღვდელი მიხეილ ჯაფარიძე, რომელიც შორაპნის მაზრაში სცხოვრობს, სოფელ ხრეითში და იმან სრულიად გამანთავისუფლა ჩემის უკურნებელის ავადმყოფობისაგან. მადლობას ვუძღვნი ზემოხსენებულს მოძღვარს და თქვენცა გთხოვთ გამოაცხადოთ ის ამბავი, რომ ჩემებრ დატანჯულმა სხვამაც მიმართოს იმ მღვდელს და მით სამუდამოდ უშველოს თავისს თავს“. სასურველია მცოდნე კაცი შეამოწმებდეს ამ ამბავს და გამოაქვეყნებდეს, რა ღონისძიებასა ჰხმარობს ზემოხსენებული მოძღვარი ხსენებულის ავადმყოფობის მორჩენისათვის.

*** ქუთაისი: იმერეთში სხვა-და-სხვა სასმელების მკეთებელთა და მოვაჭრეთა შორის არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ბ-ნი გ. ბოლქვაძე, რომელსაც შიგ ქუთაისში აქვს გამართული სასმელების ქარხანა და საკუთარი სავაჭრო. ბ-ნს ბოლქვაძეს იმიტომ ვიხსენიებთ, რომ გულ-და-გულ-მოწადინებულია კარგი სასმელები აწარმოოს და შეძლებისამებრ ვრცელი ბაზარი მოუპოვოს. მართლაც, ბ-ნს ბოლქვაძეს ცდამ ტყუილ-უბრალოდ არ ჩაუარა, და ამ ორის წლის განმავლობაში რამდენჯერმე იქმნა დაჯილდოვებული სხვა-და-სხვა გამოფენაზე. წელს ორი ჯილდო მიიღო კარგის სასმელების მზადებისათვის: ერთი ვერცხლის მენდალი—საფრანგეთში, პარიჟის სასმელების გამოფენაზე (Exposition vinicole) და მეორეც—დიდი ვერცხლისვე მენდალი—რუსეთში ყაზანის სამეცნიერო სამრეწველო გამოფენის კომიტეტისაგან. დასასრულ, უნდა ვსთქვათ, რომ ბ-ნი ბოლქვაძე წევრად აურჩევია საფრანგეთის სამიწადმოქმედო აკადემიას და ამ წევრობის შესაფერი დიპლომიც მოუვიდა პარიჟიდამ.

*** ბორჯომი: 12 ნოემბერს ერთმა უცნობმა კაცმა, უცხო მხრიდამ მოსულმა, ერთ აქაურს მებაღეს აუხვია თვალები მაცდურობით და დააბანინა ხელი რამდენსამე თუმანზე. საქმე ასე იყო: უცხო კაცმა მებაღეს მოტყუებით დაახურდავებინა რამდენისამე თუმნის ყალბი ქაღალდის ფული. მებაღეს პატარა ხანს შემდეგ გაუელვა თავში, ვაი თუ ფულები ყალბი არისო და მიდი აჩვენებ ვისმეო. აჩვენა გამოცდილს კაცს და მართლა ასეც გამოდგა. ფული ყალბი იყო. საბრალო მებაღემ მაშინვე შეატყობინა ბოქაულს ტირილითა და თავში ცემით. ბოქაულმაც ჩაფრები აფრინა ხაშურსა და ახალციხისკენ, მაგრამ ველარაფერი გააწყეს. ავაზაკი მოჩვენებასავით გაქრა და დღესაც ველარაფერი გაუგიათ იმისი.

*** ახალციხე: კვირას, ამ თვეის 9, აქაურმა სცენის მოყვარულებმა გამართეს ქართული წარმოდგენა. ითამაშეს „ხათაბალა“ და „უჩინ-მაჩინის ქუდი“. წარმოდგენაზე, რაც შეეფერება აქაურ ქართველობის რიცხვს, საკმაოდ ხალხი დაესწრო. წარმოდგენის შემოსავალი აქაურ დედათა სკოლის სასარგებლოდ იყო დანიშნული. აიღეს თორმეტ თუმნამდე და გადასცეს მაშინვე სკოლას. წარმოდგენაში იღებდნენ მონაწილეობას ბ-ნი ნ. ძიძიკაშვილი, ქ-ნი ნ. გ. დეკანოზიშვილისა, რომელსაც საზოგადოებამ სულ მეორედ გაამეორებინა სიმღერა ტაშის კვრით და ბრავოს ძახილით, ქ-ნი მ. გ. თუმანოვისა, რომელმაც თარი დაუკრა, ბ-ნი გ. ხერხეულიძე, ბ-ნი კ. ა. სვიმონიშვილი ი. ქ. ჩიკოიძე და დ. დ. დეკანოზიშვილის ასული. უფრო ამ უკანასკნელმა მიიქცია ყურადღება საზოგადოებისა. დ. დ. დეკანოზიშვილის ასული ისე თამამად და თავისუფლად იქცეოდა სცენაზე, რომ კაცს ეგონებოდა, დახელოვნებული არტისტი-ქალიაო. საზოგადოება აღტაცებით უკრავდა ტაშს ამ ახალგაზრდა ქალის კარგის თამაშობისათვის. ამ მომავალ დღესასწაულებში აპირობენ კიდევ წარმოდგენის გამართვას და უნდათ ითამაშონ „პეპო“, გ. სუნდუკიანცისა.

*** სოფ. თიღვა (გორის მაზრა): როგორც მოგეხსენებათ, აქაურის დიდებულის ძველის ტაძრის განსაახლებლად შემდგარია კომიტეტი, რომლის თავსმჯდომარედ ითვლება აქაური მემამულე გენერალ-მაიორი თავ. ამირაჯიბი. კომიტეტი გულს-მოდგინედ აკეთებს თავისს საქმეს და მალე სრულიად დაასრულებს კიდეც ტაძრის განახლებისა და გამშვენების საქმესა. საჭიროა მხოლოდ ფული, რომელიც დღემდე კარგა ბლომად შემოუვიდა თუ სოფლის მკვიდრთაგან და თუ თავადთა და სხვა ქრისტიანეთა შემოწირვით. კომიტეტმა ამ აზრით დაჰგზავნა ყველგან წერილები და ითხოვა შემწეობა. აი ის წერილიცა: მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო!

მივდევთ რა მაგალითსა წმ. მოციქულთა, რომელნიც არა თუ მხოლოდ ასწავლიდნენ ქრისტიანებს ქველის მოქმედებას, არამედ თვით ჰკრეფდნენ მოწყალებას ღარიბის ეკკლესიების სასარგებლოდ (1 კორ. 26, 1—3), გთხოვთ თქვენ, ძმანო, შეძლებისა დაგვარად, აღმოგვიჩინეთ მცირედი შემწეობა თიღვის ეკკლესიის გასამშვენებლად, რომელიც არის აღშენებული მეთორმეტე საუკუნეში თამარისაგან (?). თიღვის მრევლს, თვისის სიღარიბისა გამო არ ძალ-უძს იმდენი შესწიროს, რომ შეიძლებოდეს მხოლოდ იმათის შემოწირულებით შევუდგეთ აღდგენასა თიღვის ეკკლესიისას, რომელიც მრავლად შესანიშნავია თვისის მდიდარის ისტორიულის ცხოვრებითა და რომელიც არის მოწამე ოქროს საუკუნისა, თამარის დროისა. ექსპედიციის წევრთა მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოებისამ, რომელნიც დანიშნულნი არიან გასასინჯავად და გამოსაცემად კავკასიის ისტორიულ ნაშთთა, როდესაც გრაფინია პ. ს. უვაროვის თავმჯდომარეობით გასინჯეს თიღვის ეკკლესია, სცნეს საჭიროდ და სასარგებლოდ მისი განახლება.

გვსურს რომ უკუნითი უკუნისამდე ეკკლესია თიღვისა იქმნეს გამომხატველი იმ მაღალის გრძნობისა და ნეტარის და დაუვიწყარის მოგონებისა, რომელიც აღძრა ჩვენში 17 ღვინობისთვის 1888 წლისა სასწაულებრივმა გადარჩენამ უუკეთილ-მსახურესის ხელმწიფე იმპერატორისა და მისის უავგუსტოესის სახლობისა,—ამიტომ წევრნი კომიტეტისა კვალად და კვალად გთხოვთ, ძმანო, გვეინაწილეთ წვლილი თქვენის შეძლებისა თიღვის ეკკლესიის განსაახლებლად. ყველა შემომწირველნი ამ სამღვთო საგნის შესახებ ღვთის გულისათვის, მიიღებს დიდს საჩუქარს მისგან: თვით უფალი ბრძანებს, რომ ისიც-კი, ვინც ერთს ჭიქა წყალს მიაწვდის ვისმე ჩემის სახელით, არ მოაკლდება საჩუქარსაო. (მარკ. 9, 41).

მცირედი წვლილიც-კი თქვენი, აგრეთვე თქვენი დახმარება, რომ მიაღებინოთ სხვათაც მონაწილეობა ამ წმიდა და კეთილ საქმეში, მიღებულ იქმნება კომიტეტისაგან გულ წრფელის მადლობითა.“

*** ხუთშაბათს, 20 დეკემბერს, კრება ჰქონდა საგუბერნიო საქალაქო საქმეთათვის დაწესებულს „პრისუტსტვიას“ და განიხილა ორი საჩივარი: ვართანოვისა და ტერ-მიქელიანცისა, იმის შესახებ, რომ საქალაქო მესამე რიგის ხმოსანთა არჩევანები უკანონოდ არის მოხდარი და ამიტომ გააუქმეთ და ახალი არჩევანები დანიშნეთო. „პრისუტსტვიამ“ არც ერთი საჩივარი არ შეიწყნარა. ეხლა მკითხველებს უნდა მოვაგონოთ მე-47 მუხლი „საქალაქო დებულებისა“. აი რასა სწერს ეს მუხლი: „არჩევანებს შემდეგ თუ შვიდის დღის განმავლობაში არ იქმნა შეტანილი საჩივარი, რომ არჩევანების წესი დარღვეულ იქმნა და არჩევანი უკანონოდ სწარმოებდაო, ან თუ საჩივარი იყო, მაგრამ შეწყნარებულ არ იქმნა, ამორჩეულნი ხმოსანნი თავისის მოვალეობის შესრულებას უნდა შეუდგნენო“. მაშასადამე, ამიერიდგან ახალი საბჭო უნდა შეუდგეს საქალაქო საქმეთა წარმოებას და ძველი კი გადადგეს. („Нов. Обоз.“).

*** იმავე გაზეთს გაუგონია, რომ ბათუმის საქალაქო საბჭომ იშუამდგომლა, ტფილისის საადგილ-მამულო სათავად-აზნაურო ბანკს ნება დართეთ ბათუმის ოლქშიაც დაიგირაოს მამულებიო. ამაზედ ბ-ნმა ფინანსთა მინისტრმა უპასუხა, რომ ჩემის მხრით თქვენის სურვილის წინააღმდეგი არა ვარო, თუ თვით სათავად-აზნაურო ბანკი შესაძლებელად დაინახავს მაგ სურვილის დაკმაყოფილებასაო. რაღა თქმა უნდა, ბანკიც სიამოვნებით დასთანხმდა და, ამ გვარად, ეს საქმე უკვე საბოლოოდ გადაწყვეტილია.

19 ამ თვეისას კოჩუბეის ქუჩაზე უნტერ-ოფიცრის ცოლს ნადეჟდა გლაჩენკოს შერჩეულის გასაღებით სადგური გაუტეხა იმისავე სახლის პატრონის შვილმა 16 წლის ალექსანდრე მიხეილის ძემ ნავასარტოვმა და წაიღო 60 მან. ნივთეულობა. ქურდი შეიპყრეს და ნაქურდალიც უპოვნეს.

*** 18 დეკემბერს ოზურგეთის მცხოვრებელმა მელანია ხოჯაევის ასულმა ლაზნევიძემ პოლიციაში გამოაცხადა, რომ 15 დეკემბერს სტუმრად მოვიდა ჩემთან ჩემი ნაცნობი მომღერალი ქალი ლიდია მიხეილის ასული ვედევანოვისა და ღამის გასათევად ჩემთან დარჩა. დილით ადრე ამდგარიყო და წაეღო ოქრო-ვერცხლეულობა სულ 88 მან. ჩემთან დარჩა შეხვეული ნოტები. გამოძიება სწარმოებს.

# ფელეტონი

## ჩემთვის!

### II

მეტად მადლიერი ვარ მე ჩემის ბედისა, ძლიერ მომწონს ჩემი ერთფერი და ერთგვარი მდგომარეობა. საჭიროა ჩემთვის, რომ ქვეყნის არც ავი და არც კარგი ჩემს ყურადღებას არ იტაცებს, არაფერზე არ ვღელდები და ვწიწმატობ, მუდამ ჩაყურბულ-ჩაჩუმებული, მუდამ ერთი საშვალო სახით ვეჩვენები ყველას: ვერც მხიარულებასა და ხმაურობას ვინმე შემამჩნევს და ვერც სასოწარკვეთილ დაღვრემილებას. გამოცდილებით ვიცი, რომ რაც მეტად მივეცემი ასეთ თავდავიწყებას, რაც უფრო ჩავქრები ჩემს ტყავში, რაც უფრო მივიხრწნები გასაქრობად და მეტს მაგარ ზღუდეს შემოვავლებ ჩემს გრძნობა-გონებას, მით უფრო ბედნიერი ვიქნები, ყოველ ნაირ ხიფათს მოშორებული და თან კეთილ სამედო კაცად ცნობილი ყველასაგან.

არც სიმდიდრისა და არც დიდების მოპოების წყურვილი არ მაშფოთებს. ვიცი, ერთიცა და მეორეც დღეს იშვიათად მოიპოვება ისე, რომ თავზედ დიდი მთის ოდენა ცოდვა არ დაიდვა, სული არ წაავგო და ნამუსზედ ხელი არ აიღო. ესეთი სურვილი გადიდებისა და გამდიდრებისა უთუოდ ვისმეს გამხეერპლებინებს, ვისმეს კისერზედ ფეხს დავადგმევინებს და ვისმეს ჯიბეში ხელებს მოგაფათურებინებს.

„ღმერთმა ერთი რაღ აცხოვნოს, თუ მეორე არ წასწყმიდოსო“. ეგებ პატიოსნებითაც შესაძლო იყოს ამ ორის საუნჯის შეძენა, მაგრამ მე მაგისი მხილველი არა ვარ და ამიტომ შორს იყოს ჩემგან დიდებაცა და სიმდიდრეც. ქვეყანაზედ მხოლოდ ერთად-ერთი ჭეშმარიტი საუნჯეა, რომელიც არც ოქროთი მოიპოვება, არც გვარიშვილობით და დიდის ხელთ-უფლობით და რომელიც ყოველ გაჭირებაში ადამიანს ნუგეშად ჰყოფნის.

— ეგ არის შეუბღალავი და წმინდა სინიდისი. ღმერთმა ეს საუნჯე ნუ დამიკარგოს და მეყოფა „რა სარგებელ ეყოს კაცსა, უკეთუ სოფელი ყოველი შეიძინოს და სული თვისი იზღვიოს? ანუ რა მისცეს კაცმან ნაცვლად სულისა თვისისა“?

თუ ჩემი ცხოვრება ისე მოეწყო, რომ არც ვიცინი და არც ვსტირი და მუდამ ერთ ყარალზედ ვდგევარ, ამით ის-კი არ იფიქროთ, რომ ჩემ გარშემო ხან სატირალი და ხან სასაცილო ამბები არ ხდებოდეს, ან ჩემი გული ცივი მარმარილოს ნატეხი იყვეს და ცხოვრების ავ-კარგიანობა მასზედ შესაფერად არ მოქმედებდეს. არა, ბევრი რამ ავიცა ხდება ქვეყანაზედ და კარგიც, ისე ცხოვრება წარმოუდგენელია. როგორც ადამიანები არიან ორის ჯურისანი: ავები და კარგები, ბნელ სულ-გულისანი და ნათელი და პატიოსნები, ისე მათი საქმენიც ორგვარია. ეს კია, რომ ბოროტი კაცები და უკუღმართნი საქმენი უფრო მომეტებულია, მინამ კეთილი. მაგრამ დიდი გამოცდილება და ჭკუაც იგია, რომ ყველა ამ სიჭრელეს ცხოვრებისას ყური მოუყრუო, ქვეყნის ჭირი გულს არ დაიჩნიო, და სხვათა ჭირი კედელს ჩხირად მიგაჩნდეს, რომ უდროოდ არ მოტყდე და დარდს თავი არ გადააყოლო.

„კაცმა უნდა თვისის სიბრძნით
გულსა ჟანგი არ მიიცხოს,
თუ სოფელმა დააკვნესოს,
შორი ლხინად შაირიცხოს“.

გაჩერებას რა სჯობია! მაგრამ ამას ყველა ადვილად ვერ ახერხებს. მე-კი ერთი იოლი ხერხი ვიცი, რითაც სიცილ-მხიარულებასად ადვილად შევივსავ და ტირილსაც. როდესაც რაიმე კაცთა საქმენი სასაცილოდ გამომიწვევენ, მაშინვე ხელის ფრჩხილის თითზედ დავიხედავ და საქმე მორჩომილია, მაშინვე მოვალ ჩემგან არჩეულსა და მოწონებულს გუნებ ზედ. როცა სატირლად ამეჩუყება გული, მაშინ ტალი მაქვს მომზადებული, დავხედავ და გულიც გამიტალდება. არ ვიცი სხვებმა სცადეს თავის თავზედ ამ თილისმის ძალა, ან აქვს ვისმეს სურვილი ჩემსავით შეიკრას და შებოჭოს გრძნობა, მაგრამ მე-კი ძლიერ ხშირად გამოვყავარ გასაჭირისაგან ტალსაც და ფრჩხილსაც. აი ერთი უბრალო მაგალითიც იმისა, რომ ერთმა ნამცეცმა ფრჩხილმა დიდი სირცხვილისაგან დამიხსნა. ამას წინად გახლდით ქუთაისის ერთ წიგნის მაღაზიაში, რომელიც ეკუთვნის ძმათა მეტიჩარაძეებს. იქ შემოვიდა ერთი ახალგაზრდა კაცი რაღაც ქაღალდით ხელში და თან ახლდა იქაური სასულიერო სასწავლებლის ერთი მასწავლებელი. ახალგაზრდამ მაღაზიის პატრონი მოიკითხა და იმანაც სიხარულით გაასწო თავი, ალბად იმ იმედით, რომ მუშტარი ეგონა და ორიოდ გროშს გააგდებინებდა, მაგრამ სრულიად მოიშალა, როდესაც სტუმარმა მეტის მორიდებით და თავაზით შეატყობინა, რომ მოველი გთხოვოთ ორიოდე ქართული წიგნი იმ წიგნთსაცავისათვის, რომლის დაარსება განიზრახა რამდენმამე ხალხში სწავლა-განათლების გავრცელების მოყვარულმა კაცმაო. თავისი სიტყვა კიდევ არ დაესრულებინა სტუმარს, რომ მასპინძელი ერთის მტკაველით დადაბლდა და ასე დადაბლებულმა გამოაცხადა, რომ მე „პრიკაშჩიკ“ვარ და არა „ხაზეინი“ და ვერაფერსაც ვერ მოგართმევთ უფულოდაო. სახტად დარჩენილი ახალგაზრდა ახლა თავის ამხანაგს მიუბრუნდა, უნდოდა შეეტყო, რა კაცია ეს კაციო, რომ რეზინივით ხან იმართება და ხან იკუმშებაო; მაგრამ მის ამხანაგს თავი სამარცხვინო მდგომარეობაში ეგრძნო მათხოვარ კაცთან ყოფნით და ადრევე გაპარულიყო. მე-კი, ამ სცენის მხილველი, სიცილით გავიგუდე და ის-ის იყო უშველებელი ხარხარი უნდა დამეწყო და უნდა შემერცხვინა ის პატიოსანი საქმის მოსამსახურე, ისედაც შერცხვენილი ყმაწვილი კაცი და მომენდურებინა ჩემი კარგი ნაცნობი და მეგობარი მაღაზიის პატრონი, რომელიც განგებ მუხლებ-მოკუნტული საპყარსავით დალახლახობდა თავისავე მაღაზიაში. მაგრამ ამ დროს დავიხედე მარცხენა ხელის ერთ ფრჩხილზედ და განვითავისუფლე თავი უხერხულის მდგომარეობისაგან. მერე გულდამშვიდებული შევეკითხე იმ ახალგაზრდას, ეგ რა წიგნთ საცავისათვის ითხოვეთ-მეთქი შემწეობას. მან დაწვრილებით მიამბო ყველაფერი და კიდევაც მომეწონა მისი ნაამბობი; დავსძებნე ჩემი ღარიბი ჯიბე და რაც აღმოჩნდა შიგ, მივეცი. ღმერთმა გაუმარჯოს მათ სასიკეთო საქმესა-მეთქი! ვიფიქრე ჩემს გულში.

არის ისეთი ამბებიცა, რომლების შესახებაც ტალიცა და ფრჩხილიც თილისმურ ძალას ჰკარგავს და ვერას მრგებს ხოლმე. ეს ამბებია კაცთა ისეთი საქციელი, რომელიც სასაცილოდაც არის აგებული და საგლოვიაროდაც, რომელიც ერთსა და იმავე დროს კიდეც გიძიმებს გულს და კიდეც გიმსუბუქებს. ასეთ შემთხვევაში ტალს ფრჩხილზედ მივადებ, რომ ორივეს ერთად დავხედო და ტირილ-სიცილისაგან თავი დავიხსნა, მაგ-

# წვრილი ამბები

## საქმე ბომპარისა და ეიროსი*)

დამნაშავეთა დამცველთ ვექილების თხოვნის გამო სასამართლოში მოიწვიეს უფლებათა პროფესორი ლეჟუა გიპნოტიზმისა და გაბრიელი ბომპარის სადნაშაულის შესახებ თავის აზრის წარმოსათქმელად.

ლეჟუა. წინადვე მოგახსენებთ, ბატონო მოსამართლენო, რომ მე ცოტაოდენი გრძლად მომიხდება ლაპარაკი და 319 მუხლის მეორე პარაგრაფის ძალით ვითხოვ, რომ ლაპარაკი არავინ გამაწყვეტინოს. სულ დამჭირდება სათნახევარი, ორი, ან სამი საათი.

ამის გამო თავმჯდომარემ საქმის გარჩევა შეაჩერა და მეორე დღისთვის გადასდო.

მეორე დღეს სასამართლოში პირველად ლეჟუამ დაიწყო თავისი სიტყვა. როგორც ზემოდაც ვსთქვით, ლეჟუა უფლებათა პროფესორია, მაგრამ ამ რამდენისამე წლის წინად გიპნოტიზმის შესწავლას შეუდგა და პროფესორ ბერნგეიმის ხელმძღვანელობით კარგადაც შეისწავლა ეს საგანი. მისის აზრით გიპნოტიზმის შემწეობით კაცს სხვა-და-სხვა საქმისა და ავაზაკობის ჩადენაც-კი შეიძლება შთააგონოს. ამის დასამტკიცებლად ლეჟუამ მრავალი მაგალითი ჩამოთვალა. აი თვით ზოგიერთი იმის მიერ დასახელებული მაგალითი. მომხდარა, რომ ვაჭრებს გიპნოტიზმის ძილის დროს სავაჭრო საქონელი გაუყიდნიათ. ერთი ქალი რომელსაღაც კაცს დაჭნებდა გიპნოტიზმის ძილის დროს და, როცა გამოეღვიძა, აღარაფერი აღარ ახსოვდა. ერთმა გასათხოვარმა მოსამსახურე ქალმა თავისი ბატონი გაქურდა, მაგრამ სასამართლომ დამნაშავედ არ იცნო, რადგან დამტკიცდა, რომ გიპნოტიზმის ძილის დროს ჩაედინა ავაზაკობა. ნანსში ერთს კაცს გიპნოტიზმით შთააგონეს, ხელზე იარა გაქვსო, და საწყალმა ისე დაიჯერა და ისე გაიტაცა ამ ფიქრმა, რომ მეორე დღეს მართლა გაუჩნდა იარა ხელზე. ერთმა მოგზაურმა 1865 წ. გიპნოტიზმით შთააგონა ვიღაც მოიჯარადრეს ქალს და ისიც სადაც-კი ეს მოგზაური წავიდოდა, სულ თან დასდევდა, მაგრამ ერთხელ ეს გიპნოტიზმიანი ქალი წავიდა სასამართლოში, უჩივლა მოგზაურს და 10 წლით დაპატიმრება გადააწყვეტინა. ახალგაზდა აფიცერმა ლარომიერმა გიპნოტიზმის ძილის დროს სხვის შთაგონებით ერთის დიდ-კაცის ქალი შეაცდინა; ამის გამო საჩივარიც ასტუდა და დიდი მითქმა-მოთქმა ასტეხა საზოგადოებაში.

როცა ამ მაგალითების ამბავი გაათავა, ლეჟუა სხვა მკურნალების მიერ ბომპარის შესახებ წარმოთქმულ აზრის განხილვას შეუდგა. ლეჟუა ამტკიცებდა, რომ „ბომპარი გიპნოტიზმით რამდენჯერმე დაუძინებია სხვა-და-სხვა კაცს და შეიძლება რომ ეირომაც შთააგონა ყველაფერი ის, რაც გუფფეს მოკვლის დროს ჩაიდინა. ბომპარი რომ გიპნოტიზმით დავაძინოთ, შეიძლება ყველაფერი მოაგონდეს და სთქვას, რაც ჩვენების მიცემის დროს დაავიწყდა. თვით ეს დავიწყება და მეხსიერების სისუსტე იქნება ეიროსაგანაცა აქვს შთაგონებული. რაკი, როგორც ვსთქვი, იმდენჯერ დაუძინებიათ ეს ქალი, შეუძლებელია, რომ ეიროსაც არ დაეძინებინოს და სწორედ ამითი-ღა აიხსნება ის გარემოება, რომ ბომპარი მეტად მორჩილი იყო ეიროსი. ბომპარის გამოქცევა ამერიკიდგან საფრანგეთში გარანჟესთან ერთად ისევ გიპნოტიზმის ძალით უნდა მომხდარიყოს. მოგახსენებთ, თუ გინდათ, რომ სრული ჭეშმარიტება შეიტყოთ, საჭიროა, ბომპარი გიპნოტიზმით დავაძინოთ, რომ ყველაფერი მოიგონოს, რაც უწინ გიპნოტიზმის ძილის დროსვე უფიქრია. მკურნალების (ფსიხიატრების) ნათქვამი ერთისა მეორისას ეწინააღმდეგება და არღვევს. იმასაც ამბობენ, რომ ბომპარს „ზნეობრივი მხედველობა დახშული აქვს“, მისი გიპნოტიზმით დაძინება და შთაგონებაც შეიძლებაო და იმასაც, რომ ბომპარი რასაც სჩადიოდა, ყველაფერს იცოდა. ესე იგი მოდა და ამიტომ პასუხიც უნდა აგოსო“. ლეჟუამ თავის აზრის დასამტკიცებლად მოსამართლეთა ყურადღება იმ გარემოებასაც მიაქცია, რომ ამერიკიდგან გამოქცევის შემდეგ ეირო სცდილობდა როგორმე ცალკე ენახა ბომპარი. თავისი სიტყვა შემდეგით დაასრულა უფლებათა პროფესორმა:

„ბატონი ბრალმდებელი მეუბნება, რომ მე ბომპარს უდანაშაულების და პასუხის უგებლობის დამტკიცებასა ვცდილობ და არ მინდა სასჯელი რამ მიესაჯოს. არა, აგრე გახლავთ, მე მომხრე ვარ იმ აზრისა, რომ კაცი თავისუფლად ძალა დაუტანებლად მოქმედებს, ვეწინააღმდეგები ამის მოწინააღმდეგეთ, მაგრამ როცა დანაშაულობას და ჩადენილს ავაზაკობას ვხედავ, მსურს გამოვიკვლიო და გამოვიწვლილო, რამდენად დამნაშავე და მაშასადამე პასუხის მგებელიც იმისი ჩამდენი. ამ გვარ შემთხვევათა გამო ჩვენი კანონ-მდებლობა მირეულად შეცვლას ჭსაჭიროებს. ვისაცკი უნდოდა, ყველამ დაამინა ბომპარი გიპნოტიზმით. ეირო ამბობს, ვერ მოვასწრებ ბომპარის დაძინებაო, მაგრამ იმას-კი აღიარებს, რომ უცდია მაინც. ბომპარი ყველაფერში ემორჩილება ეიროს, შეჩვეულს ფინიასავით სულ უკან დასდევს. გარანჟეს რამდენჯერმე დაუძინებია; ქალს აქ აგონდება დანაშაული ხოლო რადგან ახალი გამოღვიძებულია. კარგად ვერ მოუსაზრებია ყველაფერი. ამერიკაში უოფის დროს გიპნოტიზმის ძილმა რომ გაუარა აღარ ახსოვდა თავისი დანაშაულობა, რადგან ავაზაკობის ჩადენის შემდეგ თვით ეირომ შთააგონა დაევიწყებინა, და ამიტომ გამოექანა საფრანგეთში, რომ მართლ-მსაჯულებას თითონვე მისცემოდა გასასამართლებლად. ასე იმიტომ მოიქცა, რომ უდანაშაულოდ მიაჩნდა თავისი თავი. თუ ჩადენილის ავაზაკობისა ახსოვს რამე, იმიტომ ახსოვს, რომ გუფფეს დარჩობას შემდეგ ეირომ ბომპარი მკვდართან დასტოვა, ეირო ასე იმიტომ მოიქცა, რომ ეს ქალიც თანამოზიარედ უნდა გაესადნა პასუხის გებაში, თუ ვინიცობაა მაშინვე გაუგებდნენ და დაიჭერდნენ. როცა ბომპარს გიპნოტიზმა გაუარა, დაავიწყდა, რომ მეც ურევიარ საქმეშიო და მხოლოდ მაშინ-ღა თუ მოიგონებს, როცა ისევ გიპნოტიზმის ძილში იქნება. ასს გიპნოტიზმიანს კაცში 4, 5 კაცი უოველთვის ურევია, რომელნიც რასაც ძილის დროს სჩადიან არ გაეგებათ და ამიტომ არც პასუხისგება მოეკითხებათ. სწორედ ამ გვარ ადამიანად მიმაჩნია მე ბრალდებული ბომპარიც და მსაჯულ ფერესავით მოგახსენებთ „ხელი რომ მომჭრას ვინმე, ის უფრო სამართლიანი იქნება, ვიდრე ჩემ მიერ ამ ქალის დამნაშავედ ღიარება გუფფეს მოკლაში“. (ხალხში დიდი ჩოჩქოლია)

ბრალმდებელი. (ლეჟუას) შეიძლება გიპნოტიზმიანს შთააგონოს, რომ ზედი-ზედ რამდენიმე სხვა-და-სხვა საქმე ჩაიდინოს?

ლეჟუა. გიპნოტიზმიანებისთვის, რამდენჯერმე შთამიგონებია, რომ 53, 78, 100 დღეს შემდეგ გაკეთებინათ რამე და იმათაც აუსრულებიათ.

ბრალმდებელი. მაგას ხომ არ მოგახსენებთ, მე გკითხავთ, შეიძლება მეთქი გიპნოტიზმიანებმა ზედი-ზედ რამდენიმე სხვა-და-სხვა საქმე ჩაიდინონ შთაგონებით?

ლეჟუა შეიძლება.

ბრალმდებელი. როგორ დააძინებდით ხოლმე გიპნოტიზმით?

ლეჟუა. უბრალო შეხედვით და ან კიდევ სიტყვების თქმით.

ბრალმდებელი ეძინათ-კი ხოლმე, როცა თქვენს სიტყვას ასრულებდნენ?

ლეჟუა. ეძინათ, მაგრამ თვალები-კი ახილული ჰქონდათ, დადიოდნენ, ლაპარაკი ეყურებოდათ და ჰხედავდნენ კიდეც.

ბრალმდებელი. რა ნაირად სტყობდით, რომ მართლა ეძინათ და არ გატყუებდნენ?

ლეჟუა. იმითი ვსტყობდი, რომ ზოგჯერ ჩემის შთაგონებით ხელს იწვავდნენ, იჩხვლეტდნენ ხოლმე და არ მიწყრებოდნენ-კი. გიპნოტიზმის ძილს თითქმის უოველთვის ცნობიერების დახშობა მოჰყვება ხოლმე (ბრუარდელი ხელის გაქნევით ანიშნებს, ტყუილიაო) შემდეგ ლეჟუას გაუპასუხა პროფესორი ბრუარდელი. პროფესორი ლეჟუა სტყუის, რადგან ისეთი ამბები ჩამოსთვალა, რომელიც მეცნიერულად არ არის გამოკვლეული და შემოწმებულიო. ადვილად შეიძლება მოსტყუვდეს კაცი, სულ ვერაფრით ვერ დაამტკიცებს, რომ გიპნოტიზმიანს მართლა სძინავს და არა განგებ იმძინარებს თავს. მომეტებულს ნაწილს ისტერიკიან ქალებისას ძლიერ უყვართ მოტყუება, ვითომ გიპნოტიზმის ძილში ვართო; გაბრიელ ბომპარიცკი გამოტყდა, რომ ბევრჯერ განგებ მომძინარებით ვატყუებდი ეიროსაო. საზოგადოდ ბრუარდელის აზრი შემდეგი იყო, რომ დაუძინებლად შეიძლებოდეს რისამე შთაგონება, მაშინ ყველას გვალენა ექნება გიპნოტიზმიანზე, ვისაც-კი შეჰხვდება. უეჭველად რომ ბომპარი დარჩა ეიროსთან, რომელიც არც მდიდარი იყო, არც ლამაზი და თან სცემდა კიდეცა. განა ბულვარებზე მოხეტიალე ქალთაგანი ცოტანი არიან ამ ნაირსავე ყოფა-მდგომარეობაში“? (ხალხი იცინის). ლეჟუას აზრის დასარღვევად ბრუარდელმა მოიხსენია პროფესორ ნანსის წიგნში მოყვანილი მაგალითი, ტროპმანმა თვით შთაგონების გამო კინკის ცოლშვილი დახოცა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ბავშობის დროს ერთს წიგნში ამგვარივე ამბავი წაეკითხნა (ხანგრძლივი სიცილია).

ამ კამათობას შემდეგ ბომპარის ვექილმა ითხოვა, რომ იქვე სასამართლოს დარბაზში გიპნოტიზმით დაეძინებინათ ბრალდებული ქალი და ისე ჩამოერთმევინათ ჩვენება გუფფეს მოკვლის შესახებ. დამსწრე ხალხი ძლიერ აღელდა ამ სიტყვებზე და არც ბრალმდებელმა მისცა ამის ნება.

*) იხ. „ივერია“ №№ 268, 271, და 272.

---

რამ არ ხერხდება ხოლმე: ისე მტკიცედ ტალი ფრჩხილს არ მიეკვრის, რომ შუაში საკმარისი ხანი არ დარჩეს. ამ ხანში გული თავისუფლად გააძერენს თავის ნაწურ ცრემლებსაც და ნაფეთქს სიცილსაც.—ესეთი ორპირი საქმეები რომ არ იყოს, მაშინ ჩემს მყუდროებას საზღვარი არ ექნება, მაგრამ ჩემდა საუბედუროდ, ორპირი საქმეები დღითი-დღე მრავლდება. დაიწყება და გაიმართება რომელიმე საქვეყნო და ვითომ საკეთილო რამ. გარეგანის შეხედულობით იგი საქმე ქვეყნის მალამოდ ითვლება, გვაქვს მისი დიდი იმედი, ვაქებთ, ვადიდებთ მის მწარმოებლებს და ვუცდით, აცა როდის გვაგემებენ კეთილ ტკბილს ნაყოფსაო. მერე-კი გამოჩნდება, რომ ნათელ გარეგნობას გული ფუჭი ჰქონია. საზოგადო დაერქმევა რომელსამე საქმეს და საზოგადო სარგებლობა-კი არა გამოდის-რა. მაგონდება წარსულის თვეებისა და დღეების კორიანტელი, რომელიც მთელის დასავლეთის საქართველოს თავად-აზნაურთ ასტეხეს თავიანთ ბანკში. ხომ მთელს ქვეყანას დაუმტკიცეს ამ ბატონებმა, რომ თუ კაცი თითონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა, რომ შეიძლება განათლებით გაწმენდილ-გაჩოთქილ გარეგნობის ქვეშ ბევრი ჰუჰყი, ხრიკი, გაიძვერაობა და დაბალი სწრაფვა სულისა ბუდობდეს, რომ სხვების გასანათლებლად და საპატრონოთ გამოსულნი თვით ჯურღმულში იყვნენ ჩაცვინულნი და თვითვე სჭირდებოდეთ პატრონობა. რაღა გასამტყუნარია ამ მაგალითის შემდეგ დაბალი წოდებით, ხელობით და განათლებით, თუ გინდ ვაჭრები, თუნდ ქვეყანას ტყავიც გააძრონ? ამის შემდეგ ვის აქვს ნება საყვედური უთხრას რომელსამე მიყრუებულს კუთხეში მოქცეულს ბოქაულს, ან სხვა მოხელეს, რომ არავისი არ სცხვენოდეს, არ ერიდებოდეს და თავისი ქვენა სურვილის დასაკმაყოფილებლად უბრალო ჩხირებივით კაცებს ცეცხლში ჰყრიდეს. ნივთიერს ზარალს რომ თავი დავანებოთ, რა ზარალის მოტანა არ შეუძლია ასეთს საქციელს ხალხის ზნეობისათვის? დაფიქრდა ამაზედ ვინმე, თუ დამფიქრებელიც არავინ არის? რა ნაირად გაიხმაურებს ეს საქმე ხალხში, განა ასეთი მაგალითით უნდა ეზრდიდეთ ხალხს? ეს კიდევ არაფერი. ამოდენა მეზობლები, გარეშე და უცხო ხალხი რა აზრს შეადგენენ იმ ქვეყნის ზნეობასა და გონებაზედ, სადაც უმაღლესი წოდების საქმენი ასეთ ხრიკებზედ არის აშენებული? ეს ჩვენის ბანკის საქმე ხომ მთელს ქვეყანას მოეფინა! თუ-კი, ასეთს საქმეს დაგემართებდა ბანკი, სჯობს სრულიად არ არსებობდეს და არც ცუდს მაგალითს აჩვენებდეს ქვეყანას. გარწმუნებთ, ადამიანი უფრო ძვირად ჰღირს, მინამ ვერცხლი და ოქრო. უფულობა ქვეყანას მაგდენად ვერ დააძაბუნებს, რამდენადაც პატიოსნის კაცების უყოლელობა. ჩვენ ხომ ვიცით ეხლა, რა მამულიშვილებიც უდგიათ ჩვენს ქვეყანას მხარში წამოსაყენებლად!.. სატირალია, სატირალი... საბაცილო რაღა ნახე აქაო, უეჭველად მკითხვენ. საბაცილო კიდევ მეტია. მაგრამ ეჰ, მახლას!

აი ასეთი საქმეები ჩლუნგავს ჩემის თილისმის ძალას; ასეთი საქმეები მალონებს მწარედ და მაცინებს კიდევ უმწარესად.

მაგრამ ვიმედოვნებ, რომ მალე, ჩემდა საბედნიეროდ, ვინმე მოიგონებს ისეთს ქურას, რომელშიაც ფრჩხილი და ტალი ერთად შედუღდეს და გამოვიდეს ფრჩხილ-ტალი, ანუ ტალ-ფრჩხილი, მაშინ-კი მიეცემი სრულს დავიწყებას და არარაობას. ასეთი ქურა ადამიანის არარად ქცევისა, მისი გრძნობა-გონების გალაყებისა კიდევაც გამართულა ჩვენის ქვეყნის ერთს კუნჭულში. ეს კუნჭული არც ისე შორს არის ჩვენგან, რომ მისი ახლად შემოღებული კაცთა სადნობი ქურა ჩვენამდინაც მალე არ მოაღწიოს. ბარემ კარგად გაგაცნობთ ამ საოცარს ქურას.

ჩვენგან შორს და არც-კი შორს, არც ცხრასა და არც ერთს მთას იქით მდებარეობს ერთი ყველაფრით შემკულ-შეზავებული კუნჭული, რომელსაც არ აკლია არც მწვანეთ დაფენილი ვაკე-მინდვრები და არც ტყეებით მდიდარი მთები, რომელთაგანაც ჩამოჩხრიალებენ თეეზით სავსე მდინარენი; ამასთან ამ კუთხეს ზაფხულობით აგრილებს და ზამთრობით ათბობს დასავლეთის მხრით მდებარე ზღვა. ერთის სიტყვით კუნჭულელნი ყველაფრით ბედნიერნი არიან. მაგრამ რომ ბედნიერებას საზღვარი არა ჰქონოდა იმათთვის, მათდა დაუკითხავად, შორსმხედველ კაცებს დაუმართავთ, როგორცა ვსთქვით, ადამიანის ჭკვა-გონებისა და გრძნობის სადუღარ-სადნობი ქურები. ყველაფრის დნობა მოახერხა სწავლა მეცნიერებამ: ხისა, ლითონისა, ქვისა და სხვ. ყველა ამ ნადნობს თავისებურად ხმარობს, მაგრამ ადამიანის დნობა და მისი ყველაფერში მოხმარება სულ ახალი მეცნიერებაა და ყველა სხვებზედაც გაცილებით მაღალი. ამ ახალი სოის ქურებში იმდენს ხანს ადუღებენ ცოცხალს ადამიანს, იმდენს ხან ადნობენ, სანამ სულ ერთიან არ გამოაცლიან ყოველ ადამიანურ ძალ ღონეს და არ აქცევენ ერთგვარ მანქანად, რომელიც ყველაფრად მოიხმარება, სადაც კი ისურვებენ; თავისთავად არაფერნი არიან ეს ნადნობ-ნაწრთობი ახალ მოდის ადამიანები, მაგრამ სხვების ხელში ყველაფრის შემომქმედნი არიან. სახუმრო საქმეა, ასეთი საზოგადო და ყველაფერში მოსახმარებელი კაცები! ასეთი დიდი მნიშვნელობისა რომ არის ეს ქურები, ალბად იმიტომ ჰქვია მეორე საპატიო სახელი ტაძარი კაცის გადაქმნისა. ამ ტაძრებიდგან გამოსული ახალი კაცები სრულის საესებით არ უნახავთ კუნჭულელთ და არ უწვნევიათ ჯერ მათი გემო, რადგანაც ეს საქმე ახალი შემოღებულია, მაგრამ დაბეჯითებით ამბობენ შორს მხედველნი შემომღებნი ქურებისა, რომ უეჭველად და უცილობლად თქვენს მომავალს თაობას მთლად გადაგიდნობთ და გადაგრახლისებთო. გრწამს, რომ თავიანთ დაპირებას კიდეც შეასრულებენ შორს მჭვრეტელნი, რადგან შრომასა და ხერხს არ აკლებენ ამ მათთვის საყვარელს საქმეს. უსამართლობა იქმნება ჩემის მხრით, რომ ამ საშვილიშვილო და კუნჭულელთ ყოფის ერთიან შემცვლელის დაწესებულების გამართვა მარტო შორს მჭვრეტელთ სიმხნევა და გამჭრიახობას მივაწერო. ქურების დამართვის აზრი მათ ერთმა კუნჭულელმა, ახალგაზდამ მისცა, რისთვისაც იგი არაფრის დამნახველი შორს დამნახველებმა მენდლებით და ჯვრებით დააჯილდოეს და, თუ ეცდება და მალე მოკვდება, ყინულის ძეგლსაც დაუდგმენ. მე-კი ურჩევ, რომ ასეთი დიდის საქმის მომგონი კუნჭულელი ახალგაზდა მალე გაუდგეს საიქიოს, სააქაოს იმას ბინა არა აქვს.

ლელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწივართა გქილი ამტკიცებდა, რომ ქირო შემსრულებელი და ჩამდენია მკვლელობისა, ბოშარი-კი დამრიგებელი და იმის წამქეზებელიო.

(დასასრული ხვალ)

# დეპეშა

20 დეკემბერი

პეტერბურგი. გაზეთები იუწყებიან, რომ საერო განათლების სამინისტროსთან დაარსებულია კომისია საქალაქო სასწავლებელთა პროგრამის გასასინჯველადაო.

„Нов. Вр.“-ა იუწყება, რომ ალმზრდელ სახლებში შემოსაღებ ცვლილებათა პროექტი სრულიად განხილულია მზრუნველთა საბჭოში და გადაწყვეტილია, რომ მიიღონ უკანონოდ დაბადებულნი ყმაწვილნი; ხოლო სახელმწიფო ხარჯით მხოლოდ იმ ბავშვებს აღზრდიან, რომელნიც ღარიბნი და შეუძლონი არიან.

სამეურნეო დეპარტამენტს განზრახვა აქვს 1891 წ. სამხრეთ რუსეთში საცდელად დასთესოს ისეთი ბრინჯი, რომ 60 დღეში მოდიოდეს.

# განცხადებანი

ტფილისის საქალაქო გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 28 დეკემბერს ამა 1890 წლისას, მისის თანადასწრებით, იქნება ვაჭრობა და იჯარით გაიცემა ქალაქის დუქნები, რომელიც იარმუკაშია. პირობის შეტყობა შეიძლება ყოველ დღე კვირაუქმეებ გარდა გამგეობის კანცელარიაში. (2—1)

## მოახლოვებულ დღესასწაულებისთვის!

ისყიდება კახეთის საუკეთესო ღვინოები თავად ი. გ. ჭავჭავაძისა და სხვა მამულებისა

ვედრო 2 მან. 40 კაპ.—10 მან.

ბოთლი — —20 კაპ.— 1 მან.

სარდაფი იმყოფება ველიამინისა და შუაბაზრის თავში, წანამძღვარიშვილის სახლში.

(2—1) ს. ი. კურდღლოვი.

## ფრთხილად იყავით.

რადგან რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქში ძალიან ხშირად ისყიდება

**ყალბი** რძის ფქვილი ძუძუ-მწოვარა ბავშვთა საზრდოებლად.

მხმარებელთა ყურადღებას მივაქცევთ, რომ ყოველს ბანკას

ჰენრის ნესტლეს ნამდვილ რძის ფქვილისას

ლურჯი ბეჭედი აზის და ხელ-მოწერილია ერთად-ერთის ჩემის აგენტის მიერ მთელს რუსეთში

**ჰენრიხ ნესტლე**, Bebé-ს (შვეიცარიაშია).

(6—4)

ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე-18 § ძალით ოცდა-და-თერთმეტს იანვარს მომავალის 1891 წლისა ბანკის გამგეობის სადგურში საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქმნებიან ხსენებულს ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, შესახვედრ გარდასახადთა შემოუტანლობის გამო.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულებისა, რომელთა მეპატრონენი, თანახმად ბანკის წესდების მე 19 § ისა, შეავსებენ ბანკის გარდასახადს და თან განცხადებათა ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწყება ქვემო მოყვანილის თავნს ფულიდამ ზედ დამატებით სხვა-და-სხვა შეუვსებელის გარდასახადისა, მამულის გასასყიდლად დანიშნვაზე ხარჯებისა და, საზოგადოდ, უველა იმ ფულისა, რომელიც ბანკი თვისის მოვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს; ბანკის ხანგრძლივი ვალის თავნის მოსპობა შეიძლება ამავე ბანკის გირაოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან სახელდობრივის ფასისამებრ მანეთი მანეთად და აგრეთვე შეიძლება გადატანილ იქმნენ მყიდველზე; ხოლო ვადაზე გადასახადი და სხვა გვარი ბანკის სახვედრო ფული უნდა შემოტანილ იქმნენ ნაღდად.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურსთ, მათ შეუძლიათ გასასყიდელთ მამულთა აღწერილობის და საბუთების განხილვა ბანკის სამმართველოში.

დუ ეს ვაჭრობა არ შესდგა, მაშინ ბანკის წესდების 24 § საფუძვლით, ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 16 თებერვალს 1891 წელსა.

$18\frac{7}{12}$ წლიანნი სესხნი.

ქ. ქუთაისს.

გარდანაშვილისა, გიგო მახარობელის ძის: ნემეცის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 15,42 კვადრ. საქ. თავნი ვალი 213 მ. 66 კ. შესავს გად., 59 მ. 58 კ. სულ 273 მ. 24 კ

დარასხვლიძასა, მიხეილ ერასტოს ძის: ორპირის ქუჩაზე ორი ქვითკირის სახლი—ერთი ორ-სართულიანი და მეორე ერთ-სართულიანი, მიწა 312 კვადრ. საქ. თავნი ვალი 2359 მან. 48 კ. შესავს. გადასახ. 405 მ. 2 კ. სულ 2764 მ. 50 კ.

თურქიასი, მამუკა კოსტას ძის: ეოგზალის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 2330 კვადრ საქ. თავნი ვალი 4095 მ. 15 კ. შესავს. გადასახ. 877 მ. სულ 4972 მ. 15 კ.

მემკვიდრეთა ჩარექოვისა, ელისაბედ სიმონის ასულის: გვგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები სარდაფით და მიწა $103\frac{1}{2}$ კვადრ. საქ. თავნი ვალი 1103 მ. 59 კ. შესავ. გადასახ. 328 მ. 57 კ. სულ 1432 მ. 16 კ.

შამირანოვისა, იოსებ ივანეს ძის: ფრანგების ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 120 კვადრ. საქ. თავნი ვალი 356 მ. 7 კ. შესავ. გადასახ. 76 მ. 30 კ. სულ 432 მან. 37 კ.

დიასამიძეთა: ნესტორ და სამსონ მიხეილის ძეთა: სათავადო ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 20 კვადრ. საქ. თავ. ვალი 1168 მ. 4 კ., შესავ. გადასახ. 221 მან. 50 კ. სულ 1389 მ. 54 კ.

მიქელაძისა, ეკატერინა კოსტანტინეს ასულის: ორ-პირის ქუჩაზე სამოსახლო ადგილი 442 კვადრ. საქ. თავ. ვალი 700 მ. 68 კ. შესავ. გადასახ. 101 მ. 90 კ. სულ 802 მ. 58 კ.

მემკვიდრეთა ფარცვანიძისა, ივანე დავითის ძის: მიხეილის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა $50\frac{1}{2}$ კვადრ საქ. თავ. ვალი 1168 მ. 4 კ, შესავ. გადასახ 221 მ. 50 კ. სულ 1389 მ. 50 კ.

ალიბეგოვთა: ალექსანდრე, იოსებ და ივანე ღვთისოვარის ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 14 კვადრ. საქ. თავ. ვალი 590 მ. 35 კ. შესავ. გადასახ. 114 მ. 30 კ. სულ 704 მ. 65 კ.

მურადოვისა, თომა პავლეს ძის: ბალახვანის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები დი მიწა 54 კვადრ. საქ. თავ. ვალი 632 მ. 28 კ. შეს. გადასახ. 127 მ. 44 კ. სულ 759 მ. 72 კ.

ალერწიანისა, სიმონ ფირანის ძის: ფრანგების ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა $62\frac{2}{3}$ კვადრ. საქ. თავ. ვალი 317 მ. 38 კ, შესავს. გადასახ. 43 მ. 60 კ. სულ 360 მ. 98 კ.

ალიბეგოვთა: იოსებ, ალექსანდრე და ივანე ღვთისოვარის ძეთა: ლევაშოვის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 1270 კვადრ საქ. თავ. ვალი 543 მ. 65 კ. შეს გადასახ. 92 მ. 50 კ. სულ 636 მ. 15 კ.

მემკვიდრეთა ალხაზოვისა, ივანე კაციას ძის: პოლიციის ქუჩაზე ერთი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 334 კვადრ. საქ. თავ. ვალი 1353 მ. 64 კ., შესავ. გადას. 241 მ. 14 კ. სულ 1594 მ. 78 კ.

რუხაძისა, კესარია ათანასის ასულის: ორპირის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 89 კვადრ. საქ. თავ. ვალი 664 მ. 30 კ. შესავ. გადასახ. 70 მ. 10 კ. სულ 734 მ. 40 კ.

გეგელაშვილისა, ანტონ სიმონის ძის: ბალახვანის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 439 კვადრ. საქ. თავ. ვალი 513 მ. 21 კ., შესავ. გადასახ. 87 მ. 50 კ. სულ 600 მ. 71 კ.

მემკვიდრეთა ზალინოვისა, ნიკოლოზ ენოქის ძის: ქარავან-სარაის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები, სარდაფით და მიწა 36 კვადრ. საქ. თავ. ვალი 6158 მ. 45 კ., შეს. გად. 866 მ. 50 კ. სულ 7024 მ. 95 კ.

რუხაძისა, ვასილ ბუჭუას ძის და ახობაძისა სტეფანე ანდრიას ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა $91\frac{1}{2}$ კვადრ. საქ. თავ. ვალი 1334 მ. 28 კ. შეს. გად. 180 მ. 14 კ. სულ 1514 მ. 42 კ

მესხისა, მაზარბეგ ფირანის ძის: ივანოვის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფით და მიწა 189 კვადრ. საქ. თავ. ვალი 1539 მ. 60 კ., შესავ. გად. 310 მ. 76 კ. სულ 1850 მან. 36 კ.

მატარაძეთა, მიხეილ ივანეს და იოსებ დიმიტრის ძეთა: ხიდაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 138 კვადრ. საქ. თავ. ვალი 615 მ. 79 კ. შეს. გად. 70 მ. 10 კ. სულ 685 მ. 89 კ.

ფიჩხაძისა, მამაჯან ისრაელის ძის: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 9 კვადრ. საქ. 1 კვადრ. ალაზი. თავ. ვალი 2463 მ. 45 კ., შეს. გად. 417 მ. 79 კ. სულ 2881 მ. 24 კ.

ჩარკვიანისა, გიორგი ოქროპირის ძის: წულუკიძის შესახვევში ორი სახლი—ერთი ორ-სართულიანი და მეორე ერთ სართულიანი და მიწა 63 კვადრ. საქ. თავ. ვალი 410 მ. 57 კ., შეს. გად. 80 მ. 58 კ. სულ 491 მ. 15 კ.

ბინიაურიშვილთა: არონ, დავით, ისხაკა და მიხეილ ელოს ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 7 კვადრ. საქ. თავ. ვალი 1842 მ. 66 კ., შეს. გად. 281 მ. 90 კ. სულ 2124 მ. 54 კ.

გასუსიასი, მიხეილ ბექანის ძის, და ძაგანიასი, ოთარა დუტუს ძის: გეგუთის ქუჩაზე ორი ერთ-სართულიანი სახლი—ერთი ქვითკირისა, და მეორე ხისა და მიწა 103 კვადრ. საქ. თავ. ვალი 541 მ. 96 კ., შეს. გად. 81 მ. 90 კ. სულ 623 მ. 86 კ.

გელაზაროვისა, სტეფანე ანტონის ძის: ნიჟარაძის შესახვევში ორი ერთ-სართულიანი სახლი ქვითკირისა და ხისა დ. მიწა 44 კვადრ. საქ. თავ. ვალი 704 მ. 46 კ. შეს. გად 96 მ. 68 კ. სულ 801 მ. 14 კ.

მაჩიტიძისა, ტერენტი გიორგის ძის: რიონის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 353 კვადრ. საქ. თავ ვალი 541 მ. 99 კ., შეს. გად. 89 მ. 4 კ. სულ 631 მ. 3 კ.

მარჯვანოვისა, კონსტანტინე ანდრიას ძის: არქიერის გორაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ბაღით, და მიწა 1800 კვადრ. საქ. თავ. ვალი 1463 მ. 29 კ., შეს. გად. 224 მ. 64 კ. სულ 1687 მ. 93 კ.

შაშიაშვილისა: შალომა აბრამის ძის: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 8 კვადრ. საქ 5 კვ. ალაზი. თავ. ვალი 2276 მ. 12 კ., შეს. გად. 346 მ. 70 კ. სულ 2622 მ. 82 კ.

მემკვიდრეთა აბულაძისა, ანტონ იოსების ძის: ქარავან სარაის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 286 კვ. საქ. თავ. ვალი 2849 მ. 20 კ., შეს. გად. 359 მ. 79 კ. სულ 3208 მ. 99 კ.

მემკვიდრეთა ალერწიანისა, სიმონ ფირანის ძის: ხელთუფლიშვილის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 49 ოთხ-კუთხი საქ. თავ. ვალი 1709 მ. 55 კ., შეს. გად 166 მ. 50 კ. სულ 1875 მ. 5 კ.

ბლოტნიცკისა, თეკლე გაბრიელის ასულის: ლევაშოვის ქუჩაზე ორი ერთ-სართულიანი სახლი—ქვითკირისა და ხისა და მიწა 120 კვადრ. საქ. თავ. ვალი 399 მ. 2 კ, შეს, გად. 66 მ. სულ 465 მ. 2 კ.

ბუზიაშვილთა: არონ იაკობის ძის, შამოელ, მიხეილ და რაფაელ ისხაკას ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 15 კვადრ. საქ. და 5 კვ. ალაზი. თავ. ვალი 2279 მ. 48 კ, შესავ. გად. 342 მ. 51 კ. სულ 2621 მ. 99 კ.

გაბაშვილისა, ბესარიონ ალექსის ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 72 კვადრ. საქ. თავ. ვალი 1709 მ. 57 კ., შეს. გად. 273 მ. 39 კ. სულ 1982 მ. 96 კ.

დალაქიშვილისა, მიხეილ იაკობის ძის: ლევაშოვის ქუჩაზე ერთ-სართულიანი სახლი და მიწა 85 კვადრ. საქ. თავ. ვალი 227 მ. 89 კ., შეს. გად. 50 მ. 10 კ. სულ 277 მ. 99 კ.

ლორთქიფანიძისა, ანტონ ნიკოლოზის ძის: ორპირის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 190 კვადრ. საქ. თავ. ვალი 8084 მ. 77 კ., შეს. გად. 1140 მ. 50 კ. სულ 9225 მ. 27 კ.

უტულოვისა, მარიამ ალექსის ასულის: მიხეილის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 128,5 კვადრ. საქ. თავ ვალი 1079 მ. 52 კ., შეს. გად. 133 მ. 26 კ. სულ 1212 მ. 78 კ.

ჯიმშეროვისა, დომინიკა ნიკოლოზის ასულის: გიმნაზიის ქუჩაზე ორი ქვითკირის სახლი ერთი ორ-სართულიანი და ერთი ერთ-სართულიანი და მიწა 241 კვადრ. საქ. თავ. ვალი 7055 მ. 16 კ., შეს. გად. 1036 მ. 66 კ. სულ 8091 მ. 82 კ

ისაევისა, მიხეილ პეტრეს ძის: უსახელო ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 254 კვადრ. საქ. თავ ვალი 955 მ. 3 კ. შეს. გად. 119 მ. 30 კ. სულ 1074 მ. 33 კ.

მურადოვისა, თომა პავლეს ძის: ბალახვანის ქუჩაზე ხის სახლი და მიწა 422 კვადრ. საქ. თავ. ვალი 1134 მ. 2 კ. შეს გად. 152 მ. სულ 1286 მ. 2 კ.

საფაროვისა, სოლომონ სიმონის ასულის: ფრანგების ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 60 კვადრ. საქ. თავ ვალი 1253 მ. 59 კ. შეს. გად. 244 მ. 64 კ. სულ 1498 მ. 23 კ.

ციციაშვილისა, მიხეილ აბრამას ძის: გაგარინის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 40 კვადრ. საქ. თავ. ვალი 2387 მ. 83 კ. შეს. გად. 274 მ. 50 კ. სულ 2662 მ. 33 კ.

ცულეისკირისა, პეტრე ბასილის ძის: ალექსენდრეს და ტფილისის ქუჩებს შუა ორი ერთ სართულიანი სახლი და მიწა 237 კვადრ. საქ. თავ. ვალი 3581 მ. 71 კ., შეს. გად. 436 მ. 50 კ. სულ 4018 მ. 21 კ.

მისივე: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა $7\frac{1}{2}$ კვადრ. საქ. თავ ვალი 1074 მ. 39 კ., შეს. გად. 135 მ. 50 კ. სულ 1209 მ. 89 კ.

შავგულიძეთა, პავლე და ლევან გიორგის ძეთა, და დიმიტრი გრიგოლის ძის: ალექსანდრეს სლობოდაში ორი ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 215 კვადრ. საქ. თავ. ვალი 895 მ. 34 კ, შეს. გად. 127 მ. 44 კ. სულ 1022 მ. 78 კ.

ავალიანისა, ლუკა სიმონის ძის: ტფილისის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 105 კვადრ. საქ. თავ. ვალი 2243 მ. 72 კ. შეს. გად. 208 მ. 10 კ. სულ 2451 მ. 82 კ.